საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

03/06/2022
N 09-02-16/304

304-09-02-16-2-202206031433

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის

აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსს

ბატონ დავით მაღრაძეს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, გვაცნობოთ ჩაქვი შეკვეთილის ახალი შემოვლითი გზის გახსნის დღიდან დღემდე:

1. სულ რამდენი საგზაო მოძრაობის წესების სამართალდარღვევა იქნა დაფიქსირებული, წლების მიხედვით, მათ შორის რამდენი იქნა დაფიქსირებული სათვალთვალო კამერით და რამდენი პატრულ-ინსპექტორის მიერ;
2. დაფიქსირებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევიდან რამდენ შემთხვევას მოჰყვა ადამიანის გარდაცვალება ან მძიმე დაზიანება, წლების მიხედვით;
3. თქვენს მიერ მოხდა თუ არა ზემოაღნიშნული მონაკვეთის კვლევა, ანალიზი, რით არის გამოწვეული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევები, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ დასკვნის/ანალიზის, შემუშავებული რეკომენდაციებისა და სხვა ნებისმიერი დოკუმენტის ასლი;
4. ზემოაღნიშნული გზა აკმაყოფილებს თუ არა სტანდარტებს ორმხრივი მოძრაობისათვის, წლის ყველა სეზონზე? თუ არ აკლმაყოფილებს გთხოვთ განგვიმარტოთ რა სტანდარტებს არ აკმაყოფილებს?
5. მიგიმართავთ თუ არა რომელიმე სახელმწიფო უწყებისათვის ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობის სხვაგვარად მოწყობის ან რაიმე

შეზღუდვების დაწესების მოთხოვნით? ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ გასული და შემოსული წერილების ასლები;

6. მიგიმართავთ თუ არა რომელიმე სახელმიწფო უწყებისათვის ზემოაღნიშნული გზის დაზიანებული ნაწილის ან სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენასთან დაკავშირებით? ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ გასული და შემოსული დოკუმენტების ასლები;

პატივისცემით,

გია აბულაძე

უმაღლესი საბჭოს წევრი

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები